



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030108952247714

№ 01-53/თ

28 / თებერვალი / 2014 წ.

„ბრონქული ასთმის გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“, „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ-ის) გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“, „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“, „სპირომეტრული გამოკვლევის პროცედურა“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ²“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს“ მიერ წარმოდგენილი შემდეგი „პროტოკოლები“:

ა) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „ბრონქული ასთმის გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“ - თანდართული რედაქციით (დანართი N1);


ბ) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ-ის) გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“ - თანდართული რედაქციით (დანართი N2);

გ) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“ - თანდართული რედაქციით (დანართი N3);

დ) დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „სპირომეტრული გამოკვლევის პროცედურა“ - თანდართული რედაქციით (დანართი N4).

2. ზრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

A handwritten signature in black ink, appearing to be the Georgian name 'დავით სერგუენკო' (Davit Sergeenko).

დავით სერგუენკო